პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი პირველი

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის
კომიტეტის და
სახრევკომის
ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დღ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 1476. მდივნის № 19 საერთო №

გაზეთის და [illegible] და გაცემა სწარმოებს საქართველოს ცენტრალურ ბეჭდვითი განყოფილება-ში, რუსთაველის ქ. № 4.
ტელეფონი №

№ 142 ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 1921 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ოთხშაბათი, 24 აგვისტო, 1921 წ. № 142

24 აგვისტო
ოთხშაბათი

1906. თავდასხმა შინაგან საქმეთა მინისტრ სტოლიპინზე; ყუმბარით ააფეთქეს სახლი, სადაც სტოლიპინი ცხოვრობდა.

1895. დაპატიმრებანი პეტერბურგში „მუშათა კლასის განმათავისუფლებელ ბრძოლის კავშირის“ მე—2 საქმის გამო.

დღიური:

— საგარეო ვაჭრობის კომისარიატი [illegible] მუშაობას აწარმოებს სავალუტო საქონლის ფონდის შესაქმნელად; ამასთან ერთად [illegible] ლითონს საზღვარ-გარეთ [illegible].

— ცეცხლმა გაანადგურა [illegible] ცენტრალური—საუკეთესო ნაწილი.

სურსათის საკითხი

სასურსათო კრიზისი მძლავრად დასწოლია ჩვენს პოლიტიკურ ეკონომიურ ცხოვრებას და თავისკენ იზიდავს მთელ ჩვენს ყურადღებას. სასურსათო ფონდის შექმნა პირველი და აუცილებელი პირობაა ეკონომიური ცხოვრების აღორძინებისა და მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესებისა. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკაც იმ მხრითაა მიმართული, რომ ხელი შეუწყოს ამ ფონდის შექმნას. კოოპერაციის ამოქმედება, სასურსათო გადასახადი (პროდნალოგი) მრეწველობის პროდუქტების გაცვლა სოფლის მეურნეობის საგნებზე—ყველა ეს მიზნათ ისახავს ქალაქის მუშებისთვის სურსათ-სანოვაგის მომარაგებას.

აქ ცხადათ სჩანს, რომ ქალაქი დამოკიდებულია სოფელთან, მრეწველობა მიწათ-მოქმედებასთან, პროლეტარიატი მშრომელ გლეხობასთან. ეს დამოკიდებულება დიდ უპირატესობას აძლევს სოფელს ქალაქზე და სოფელი არ იღებს ამაზე ხელს, სანამ თვით ქალაქი არ შესცვლის მდგომარეობას თავის სასარგებლოდ. სანამ სოფლის მეურნეობა პრიმიტიულად სწარმოებს, სანამ იგი მასიურ წარმოების სახეს არ მიიღებს,—რაც უნდა ბევრი ნაწარმოები შეეძლოს მას ქალაქმა, მდგომარეობა არსებითად არ შეიცვლება და სოფელი მუდამ მოითხოვს თავის მცირე ნაწარმოებში პროპორციონალურად მეტ რაოდენობას ქალაქის ნაწარმოებიდან. სოფლის მეურნეობის ჩამორჩენილობა და განუვითარებლობა ხარკს მოითხოვს ქალაქიდან იმის საფასურად, რომ მსგავს პირობებში მაინც სწარმოებს მიწის დამუშავება. ეს ხარკი, რომელსაც თანამედროვე ეკონომიური ცხოვრების არევ-დარევა აძლევინებს ქალაქის მშრომელ ხალხს.

როგორ უნდა შეიცვალოს მდგომარეობა? აშკარაა, სოფლის მეურნეობის აყვავებით, მისი გაძლიერებით და იმ დონეზე აყვანით, რომ სოფლის ნაწარმოები თამამათ სწვდებოდეს მთელი სახელმწიფოს მოთხოვნილებებს. ეს გულისხმობს მთელი მიწის რაციონალურად და ინტენსიურად დამუშავებას, რაიც თავისთავად მოითხოვს მთელ რიგ წინასწარ ზომებს (მიწის გასუქება, გაუმჯობესებული იარაღები, მელიორაცია და სხ.). საბოლოოთ ეს მოითხოვს მიწათმოქმედების ერთი მთლიანი სამეურნეო გეგმის შექმნას და მის ცხოვრებაში გატარებას.

ეს დიდი საქმეა, მარა მისი განხორციელება დიდ დროს მოითხოვს. გაჭირვება კი მეტად დიდია და ჩვენ აუცილებლად უნდა ვიფიქროთ დღევანდელ დღეზე. ასეთ პირობებში თვით პალიატივებსაც დიდი მნიშვნელობა ეძლევა. ამ მხრით ქალაქის მუშებს დიდი ეს შეუძლიათ გააკეთონ ფრიად შესამჩნევი საქმე, რაც გააუმჯობესებს მათ მდგომარეობას და ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის უფრო დაჩქარებით ინტენსიფიკაციას.

ქალაქის მუშები თვითონ უნდა ჩაებან, ნაწილობრივათ მაინც, მიწათმოქმედებაში. ქალაქის ახლო მდებარე ბოსტნები და ბაღები უკვე ქალაქის პროლეტარიატის ხელით მუშავდება რუსეთის დიდ ქალაქებში. კერძოთ, თბილისს მრავალი დაუმუშავებელი ადგილი აკრავს, რომელთა დამუშავება სრულ ადვილათ შეიძლება საერთო ძალით. ამის სამყოფი მუშა-ძალაც მოგვეპოვება და შესაფერი იარაღებიც. საკმარისია აქ მხოლოთ ინიციატივის გამოჩენა, როგორც გლეხები იტყვიან,—ნავის გატეხა,—რომ თბილისის ახლო მახლო მდებარე ადგილები გადაიქცევიან აყვავებულ წალკოტებათ, სადაც ქალაქის მუშა სანოვაგე თან ერთად მოიპოვებს დასასვენებელ და ძალღონის აღმდგენელ წყაროსაც.

მხოლოთ მაშინ, როდესაც ქალაქის მუშა სურსათ სანოვაგის ნაწილსაც თვით მოიპოვებს, შესუსტდება ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც გამოიხატება სოფლის უპირატესობაში. ეს გარემოება კი თვით შექმნის წყაროს სოფლის მეურნეობის უფრო სწრაფი აყვავებისა და განვითარებისა. მხოლოდ ასეთ პირობებში შესაძლოა მთელი სოფლის მეურნეობის რაციონალურათ მოწყობა.

საჭიროა, პროფესიონალურმა კავშირებმა და სამეურნეო კომისარიატებმა მიაქციონ ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება და მიიღონ სათანადო ზომები.

საჭიროა მაგარი, ეჭვიანი ხელი!

„შენდებოდეს მიუშველი, იქცეოდეს მიუსვლელი“ ამბობს ჩვენი ხალხი და ეს თქმულება დღეს ჩვენში სრულდება.

თუ სადმე რამე „შენდება“, იქ მართლაც ყველა მშველელია, მაგრამ სადაც საქმე „დაქცევის“ პროცესშია, იქ ყველა იმას ცდილობს, „რაიმე იწილოს“!

ჩვენ დღეს საერთო „შენების“ პროცესში ვართ, მაგრამ თუ ძველი არ დავაქციეთ, ისე საფუძვლის ჩაყრა და კედლების აგება ყოვლად შეუძლებელია და აი ამ ძველის „დაქცევის დროს“ ჩვენებური მოქალაქე, რომელიც დოვლათის მოხვეჭის სურვილით წყურვილით არის ისევ [illegible] გაჟღენთილი და ფიქრობს „შავი დღისათვის მოიმარაგოს“ რამე, მხოლოთ იმის ცდაშია, რომ „ამღვრიოს წყალი“, წაუკიდოს ცეცხლი, ერთი სიტყვით შექმნას ისეთი გარემოება, როცა მას ადვილათ შეეძლება მოითბოს ხელი.

მოქალაქის მხოლოთ ასეთ მიდრეკილებით აიხსნება ის საზიზღარი მოვლენა, რომელიც ჩვენ წარსულ თვეში განვიცადეთ ქ. თბილისში. მე ვამბობ ზედიზედ რამდენიმე დიდი შენობის ცეცხლის წაკიდებაზე, სახელმწიფო დაწესებულებების გადაწვაზე და სხვა.

„ხელის მოთბობას“ და კარგათ მოწყობის წყურვილმა საუბედუროთ ბევრი „პარტიული ამხანაგიც“ კი გაიტაცა და ვინ იცის რა და რა დანაშაულობათა მორევში არ შეტოპეს.

ამის საშინელ ილიუსტრაციას წარმოადგენს დღეს, მაგალითათ, ქ. დუშეთში და მთელ მაზრაში მომხდარი ამბები.

საქართველოს საგანგებო კომისიამ და შინაგან საქმეთა კომისარიატმა იციან, თუ რა მოხდა და რა ხდება ამ ჟამათ ამ მაზრაში. ამ ორი-სამი დღის წინათ მომხდარი მკვლელობა მოწმობს, თუ სანამდე მივიდა ადგილობრივი მილიციის გათახსირება.

ამის მიზეზი მარტო ეკონომიური კრიზისი როდია, არამედ ისიც, რომ ეს სახელმწიფო დაწესებულება ხსენებულ მაზრაში გარეწარ და ყაჩაღურ ელემენტებით აივსო. ცხადია ასეთი ელემენტი ყოველთვის მზათაა „ხელი მოითბოს“, ძმა გროშზე გაყიდოს და მისი სისხლით ხელი შეიღებოს. ასედაც მოხდა.

ჩვენ შეგვიძლია სხვა მრავალი ამის მსგავსი ფაქტი დავასახელოთ, მაგრამ აქ საერთო ხასიათის მოვლენებით დავკმაყოფილდებით.

ბევრს ლაპარაკობენ ჩვენს წრეებში მენშევიკურ საბოტაჟზე და „ლანდარობაზე“, უსაქმურობაზე, აგრეთვე თუ სადმე რამე წახდა ან საქმე არ გაკეთდა, ამის მიზეზს უსათუოთ გარეშე პარტიის—განსაკუთრებით მენშევიკის—საბოტაჟში ეძებენ. მენშევიკები და ფილისტერები შემოგვესიენ და ყველაფერი მათი ბრალია. „ბიუროკრატიზმსაც“ კი ჩვენს დაწესებულებებში მათ აბრალებენ.

ამ დღეებში ერთი პროვინციელი ამხ. კორესპონდენტი იწერებოდა, რომ ქ. თბილისის ცენტრალურ დაწესებულებებში საშინელი „ბიუროკრატიზმი“ გამეფებულია და ამის „საილიუსტრაციოთ“ დასამტკიცებლათ მოჰყავდა ის ფაქტი, რომ ერთმა პასუხისმგებელმა ამხანაგმა, კომუნისტმა მას ნება არ მისცა, რომ ამხ. ფილიპე უთუოთ მისივე კაბინეტში ეწვია და ისე მოლაპარაკებოდა. მოიხსენიებს კორესპონდენტს ჰგონია, რომ ამხ. ფილიპეს მოადგილე ვიღაც მენშევიკია და ამიტომ იგი მის საქციელს მისი მენშევიკობით ხსნის. ნამდვილათ კი მენშევიკობა აქ არაფერ შუაშია.

ერთხელაც ვწერდი და ახლაც ვიმეორებ რომ ქართველი ინტელიგენტი, თუნდაც მენშევიკი, აშკარა საბოტაჟს ვერ გასწევს და თუ ის ფარულათ „საბოტაჟს“ ეწევა და საქმეს რევს ამის გამოსწორება სრულიად იმ გამგე ხელმძღვანელზეა დამოკიდებული, რომელნიც თავისთავს კომუნისტს უწოდებს და აღნიშნულ დაწესებულებებში კომუნისტური პარტიის სახელით მოქმედებს.

მაშასადამე, თუ მართლა სადმე „საბოტაჟი“ ან „ბიუროკრატიზმი“ არის გამეფებული, ამის მიზეზი მხოლოთ და მხოლოთ ის არის, რომ დაწესებულებათა სათავეში თვით მყოფნი, პარტიული ამხანაგები ვერ დგანან თავიანთ ღირსების სიმაღლეზე; ვერ იჩენენ ადმინისტრატიულ ორგანიზაციულ უნარს და უმეტესად თვითონვე აძლევენ თავიანთ ხელქვეითებს „ხელის მოთბობის“ მაგალითებს.

სწორეთ ამიტომ არის საჭირო პარტიის გაწმენდა, რასაც კომუნისტური პარტია დღეს მთელი რუსეთის მასშტაბით შეუდგა.

მაგრამ ეს არ კმარა. მე მგონია, რომ ამ მოვლენას დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს თვით მუშურ-გლეხურმა საქართველოს რევოლიუციონურმა მთავრობამ და მიიღოს ისეთი ღონისძიება, რომ უპირველესად თავის ღირსების სიმაღლეზე დააყენოს მუშურ გლეხური ინსპექცია, რომლის პირდაპირ დანიშნულებას სახელმწიფო დაწესებულებების მავნე ელემენტებისაგან გაწმენდა შეადგენს. გარდა პარტიის ჭეშმარიტათ გაწმენდასთან ერთად საბჭოთა სახელმწიფოს ინსპექციის მტკიცე, მაგარი ხელი, აი რა გვიხსნის ჩვენ ახალი დროის სიდუხჭირისაგან.

რუდენ კალაძე.

წითელ რესპუბლიკებში

საქართველო

საგარეო ვაჭრობის კომისარიატის მოქმედება.

ექსპორტის ფონდი. საქართველოს საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა საკმაოთ გააფართოვა მუშაობა სავალუტო საქონლის ფონდის მოსამარაგებლათ, რომელიც დანიშნულია საზღვარ გარეთ გასატანათ. ამ ფონდში ჯერ ჯერობით შედის: 52 ვაგონი კაკლის ხე, რომელიც ამჟამათ ბათომში, 4 ვაგონი თხელი კაკლის ფიცარი (ფანერა) 6000 ფუთი ბზა, 200 ვაგონამდე ხე ტყე, რომელსაც აგროვებდნენ სხვა და სხვა სადგურებზე. გასატანათ უკვე მზათაა 222 ფუთი ხალიჩები. მზადდება დაახლოვებით 40 000 ფუთი აბრეშუმის პარკი, რომლის გატანაც ეხლა სწარმოებს.

საკითხი მანგანუმის შესახებ

მანგანუმის საგრძნობი რაოდენობა, რომელიც დაამზადა საქართველოს საგარეო ვაჭრობამ, არ გადის ჯერ გადასატან ქირის სიდიდის გამო. ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ სავაჭრო საქმეების დადება გვიხდება ჯერჯერობით მხოლოდ სტამბოლის ბაზარზე. ახლო ხან ჰოლანდიაში გაემგზავრა მთავრობის და მანგანუმის მრეწველობის წარმომადგენლები მანგანუმის გაყიდვის საკითხის გადასაწყვეტად. მთავრობის წარმომადგენლები ჯერ ისევ სტამბოლში იმყოფებიან ზოგიერთ საკითხების მოსაგვარებლად, მრეწველები კი იქით გაემგზავრნენ.

სურსათის შესყიდვა.

საგარეო ვაჭრობის აგენტურის ერთ ძირითად მიზანს სტამბოლში შეადგენს შეიძინოს რაც შეიძლება მეტი სურსათი. შესყიდულის მსხვილი პარტია 130,000 ფუთი. ამას გარდა დადებულია შეთანხმება მთელ რიგ წვრილ პარტიათა შესახებ ანატოლიის სანაპიროებიდან.

გაერთიანებული საგარეო ვაჭრობის წარმომადგენელი ამხ. რაბინოვიჩი იტყობინება, რომ იგი ამ ჟამად აწარმოებს მოლაპარაკებას მსხვილ პარტიათა შესახებ, დიდი იმედებია საქმის სახეიროდ მოგვარებისათვის.

ბათუმის ნავთსადგურში

გემები ბათუმის ნავთსადგურში მოდიან კვირაში 2—3 ჯერ. ამჟამათ ნავთსადგურში სდგას უცხოელთა 12 გემი. უმეტესი საქონელი სტამბოლიდანაა. მაგრამ ამის გარდა მოდის მანუფაქტურა, ქაღალდი და რკინეულობა იტალიიდან და გერმანიიდან: რკინის გზა მუშაობს სუსტათ, საქონლის გადატანა ძნელდება. თვით ბათუმში ფასები შემოტანილ საქონელზე ნაკლებია.

საქონლის შენახვა.

უკანასკნელ ხანებში საზღვარ გარეთიდან საქონლის გაძლიერებულ შემოტანას, საგარეო ვაჭრობის შეუკვეთლადაც კი, აიხსნება იმ გარემოებით, რომ სტამბოლში მათი შენახვა ჯდება აუარებელი ფული და ამიტომ ამ საქონლის ჩვენსკენ წამოღება უფრო ხელსაყრელია.

კაპიტალიზმის სამეფოებში

ესტონეთი

თეთრი ტერორის წინააღმდეგ

მოსკოვი. 11 აგვის. 5 აგვისტოს ლიბავაში შესდგა დიდი მიტინგი წინააღმდეგ რეპრესიებისა და დახვრეტისა. კრებამ დაადგინა მოითხოვოს—გაუქმებულ იქმნას სიკვდილით დასჯა, სამხედრო წესები და გაძლიერებული დაცვა. შეწყვეტილ იქმნას პოლიტიკურ მოღვაწეთა გადასახლება. პოლიტიკურ პოლიციის ლიკვიდაცია და შემოიღონ მუშათა მოძრაობის ნამდვილ თავისუფლებისა. კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა რეაქციასთან ბრძოლაში დაღუპულ ამხანაგთა ხსოვნას და ფიცი დასდვა რომ ყოველი ღონისძიებით მხარს დაუჭერენ თავიანთ ბელადებს მშრომელთა მასის ინტერესებისათვის და სოციალიზმის განხორციელებისათვის ბრძოლაში. საპროტესტო მიტინგზე ორატორები გამოვიდნენ გარდა ს. დ. აგრეთვე პროფკავშირების წარმომადგენელნი, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ ს. დ. პოლიტიკა კაპიტალისტურ საზოგადოებაში, სხვა არა არის რა, თუ არ დაცვა კაპიტალიზმის ინტერესებისა.

კოლლექტიური მეურნეობა

16 აგვისტოს ა. წ. „კომუნისტში“ დაბეჭდილია შესანიშნავი წერილი ნ. მეჩერიაკოვისა, რომლის აზრი ფრიად უახლოვდება მიწათმოქმედების კომისარიატში მიღებულ გეგმას და პრაქტიკას, სასოფლო სამეურნეო კოლლექტივების მოწყობის საქმეში.

საუბედუროთ, საერთო ინფორმაცია ისე სუსტია, რომ აზრი და მოქმედება სხვადასხვა საზოგადო დაწესებულებასა და მოღვაწისა ხშირათ სრულიათ უცნობი რჩება და ამით ძნელდება, რა თქმა უნდა, საზოგადო აზროვნება და თანამშრომლობა.

ამ შემთხვევაშიც, გამოცდილება გვარწმუნებს, რომ ყოველგვარ გაუგებრობის ასაცილებლად ფორმისში, საჭიროა გავაცნოთ საზოგადოებას შეხედულობა მიწათმოქმედების კომისარიატისა კოლლექტიურ მეურნეობის დარგში.

გეგმა საკმარისათ სჩანს სამეურნეო კოლლექტივებისა მიღებულ ნორმალურ წესდებებში და იმ „წინასიტყვაობაში“, რომელიც უნდა დაბეჭდილიყო ამ წესდებებთან, მოკლე „ამხსნელ ბარათის“ მაგივრათ.

ეს „წინასიტყვაობა“ აქამომდე დაუბეჭდავი დარჩა და რადგანაც სწორეთ მასში მოიპოვება საერთო აზრი მიღებულ გეგმისა კოლლექტიურ მეურნეობის განვითარებისათვის საქართველოში,—რადგან სწორეთ ამ „წინასიტყვაობას“ აქვს ერთგვარი საპროგრამო მნიშვნელობა,— ამიტომ მოვიყვანთ მას სრულიათ:

„ნორმალური წესდება სასოფლო-სამეურნეო მშრომელ მწარმოებელ ამხანაგობისა შედგენილია კოლლექტიურ მეურნეობის განყოფილების მიერ, მიწათ-მოქმედების სახალხო კომისარიატის დავალებით და ხელმძღვანელობით, მიმდინარე 1921 წ. მაისში.

საქართველოში [illegible] არსებობა ორგვარ საშრომო კოლლექტივისა: სრულ კომუნისა და საშრომო ამხანაგობისა.

სრული კომუნისათვის ჯერჯერობით შესაძლოა ჩვენშიც ხმარება რუსულ სანიმუშო წესდებისა, მცირედი ცვლილებით, რადგან სრული კომუნა თავისთავად უკვე გარკვეულ ფორმას წარმოადგენს.

უმრავლეს საშრომო ამხანაგობისათვის კი აუცილებლათ საჭირო იყო ამთავითვე შედგენა ახალ წესდებისა, რადგან აქამდე არსად არ არსებობს საკმარისათ ჩამოყალიბებული, მტკიცე და გარკვეული საერთო ფორმა საშრომო ორგანიზაციისა. საბჭოთა რუსეთში აქამდისთვის ისარგებლეს რუსულ არტელის ფორმით, მაგრამ თვითონ არტელი მეტად მრავალფეროვანია და მოკლებული სიმტკიცეს და გარკვეულობას. ამიტომ თვითონ რუსეთში მალე შეიცვალა ნორმალური წესდება არტელისა, მაგრამ ამ შეცვლილი წესდებით რუსული ტრადიციული არტელი ისე ემსგავსება სრულ კომუნას, რომ აღარ რჩება რაიმე არსებითი განსხვავება მათ შორის. ცხოვრება კი თავისას ითხოვს და შეუძლებელია, რა თქმა უნდა, ერთბაშად ჩატეხვა მთელ სამეურნეო ცხოვრებისა საბოლოო კომუნისტურ ფორმაში. და რადგანაც საქართველოში მეტად დიდია მოთხოვნილება და საჭიროება საშრომო ამხანაგობების დაარსებისა, აუცილებელი გახდა შედგენა მათთვის სანიმუშო წესდებისა, იმ იმედით, რომ ხალხური აზრი და საერთო შრომის გამოცდილება თვითონ შეიტანს სასურველ შესწორებებს ამ სანიმუშო წესდებაში.

მიღებულია ერთი ძირითადი და ცხადი განსხვავება სრულ კომუნასა და საშრომო ამხანაგობას შორის: კომუნა, თავის საბოლოო ფორმაში, სრულიათ სპობს წევრების საკუთარ მეურნეობას. კომუნა ითხოვს წევრისაგან მთელ მის ქონებას, სახსრებს და შრომას. ამხანაგობა კი თხოულობს წევრებისაგან მხოლოდ ნაწილს მათი ქონებისას და შრომისას. ამხანაგობა ჰქმნის საერთო მეურნეობას, მაგრამ სტოვებს [illegible] მეურნეობასაც და კიდევაც შველის წევრებს მათ შინაურ სამეურნეო გარიგებაში. ეს არის ძირითადი განსხვავება. სინამდვილეში, რა თქმა უნდა, ყველაფერი დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა ნაწილს თავის შრომისას და ქონებისას დაუთმობენ წევრები საერთოთ, საამხანაგოდ. ამ მხრივ სანიმუშო წესდება სრულ თავისუფლებას აძლევს ამხანაგობის შემადგენლებს და მათ შეუძლიანთ შეერთდნენ იმდენით, რამდენათაც თვითონ მოისურვებენ, შეუძლიანთ მისცენ თავის ამხანაგობას მეტი წილი თავის ქონებისა და სამუშაო დროისა და ამით დაუახლოვდნენ კომუნას, შეუძლიანთ აგრეთვე შეაერთონ მხოლოთ უმნიშვნელო ნაწილი თავის ქონებისა და შრომისა და ამით გაიჩინონ მხოლოდ მაშველი საერთო მეურნეობა, მოიხმარონ ის თავისუფალი დრო და ძალი, რომელიც რჩებათ თავის მთავარ საქმისაგან და ხელობისაგან.

მაგრამ, რაც უნდა დიდი იყოს მრავალფეროვნება მშრომელ ამხანაგობებისა და რაც უნდა დიდი იყოს მანძილი მშრომელ ამხანაგობიდან სრულ კომუნამდე, მაინც მტკიცეთ არის გამოსახული და დაცული მათი საერთო დანიშნულება და მათი რევოლიუციონური კავშირი. მართლაც არის ღრმა განსხვავება ორივე მშრომელ კოლლექტივისა ყველა აქამომდე არსებულ სამეურნეო გაერთიანებისაგან: ორივე გადაჭრით უარყოფს შრომის ექსპლოატაციას; ორივე მისდევს მთელ ქვეყნის საერთო საწარმოო გეგმას; ორივე მისაწვდომია ყველასათვის, ვისაც შრომა სურს; ორივე წარმოადგენს ჩანასახს გაერთიანებულ საზოგადო მეურნეობისას და ორივე მოქმედებს სახალხო ხელისუფლების კონტროლით. ყველა ეს არის ნიშანი ახალ ეპოქისა სახალხო მეურნეობაში.

ამჟამად საქართველოში შექმნა, ფეოდალურ და ბურჟუაზიულ მფლობელობის ნანგრევებზე, წვრილი გლეხკაცური მეურნეობა. გაერთიანება მიწისა, ძლიერ სამეურნეო ერთეულების შექმნა, ეს არის ახლა აუცილებელი და მთავარი საგანი ჩვენი ქვეყნისთვის. უამისოთ არ მოეღება ბოლო ჩვენს დაწვრილმანებას და სიღარიბეს. და, თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ გაერთიანება მიწისა კერძო მფლობელის ხელში უკვე სრულიათ მიუღებელია და შეუძლებელი, რჩება მხოლოდ ერთი გზა ქვეყნის მეურნეობის განახლებისთვის: ეს არის შემოღება და ზრდა კოლლექტიურ მეურნეობისა, შედგენა საშრომო ამხანაგობისა და კომუნებისა. ამ ჟამად ეს არის მთავარი იმედი ჩვენი ქვეყნისა და ყოველ მშრომელ ოჯახის.

წარმოდგენილ სანიმუშო წესდებას აქვს მიზნად, გაადვილოს ჩვენში დაარსება საშრომო ამხანაგობებისა სწორე საფუძველზე. ამხანაგობის შემადგენლებს შეუძლიანთ იხმარონ ეს სანიმუშო წესდება და შეიტანონ საჭირო ცვლილებანი, დროისა და ადგილის მიხედვით, მაგრამ დიდი აზრი და მთავარი დებულებანი წესდებისა უნდა იყოს დაცული უცვლელად“.

კოლლექტიურ მეურნეობის ინსტრუქტორი რომან ჩიქთიძე.

კომინტერნის მესამე კონგრესი

სხდომა მეცხრე (29 ივნისი)

დებატების გაგრძელება იტალიის საკითხის შესახებ.

სხდომის დასაწყისში ქვეყნდება იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგაციის შემდეგი დეკლარაცია: **იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგატების განცხადება კომინტერნის მესამე კონგრესისადმი.**

მოსკოვის მე 2 კონგრესის დადგენილების გამო იტალიის სოციალისტურმა პარტიამ, რომელიც ყველაზე უწინ მიემხრო კომინტერნს და თითქმის ერთი მისი დამაარსებელთაგანიც იყო ციმერვალდისა და კინტალის კონფერენციებზე, მოიწვია თავისი ყრილობა ლივორნოში 1921 წ. იანვარში, რათა გაერჩია 21 პირობა რომლის მიღება დაკავშირებული იყო მე-3 ინტერნაციონალის შემადგენლობაში დარჩენის უფლებაზე.

ყრილობამ აბსოლიუტური უმრავლესობით მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

იტალიის სოციალისტურ პარტიას მიაჩნია აუცილებელ საჭიროთ თავისი ერთობის გაძლიერება თავისი ხელმძღვანელ ორგანოების და მისი შემადგენელ წევრების უფრო სრულ ერთგვარობის საფუძველზე და ამ მიზნისთვის მოითხოვს გაძლიერებული დისციპლინის სისტემის დაწესებას, ისე, რომ პარტიის თითეული წევრი და თითეული ორგანო უმორჩილებდეს თავის მუშაობას საერთო ინტერესებსა და საერთო მიზნებს: პროპაგანდაც, როგორც სხვა ყოველი პარტიული მუშაობა, განსაკუთრებით ან წმინდა-ტექნიკური, უნდა იქნეს აგრეთვე ცენტრალისტურათ მოწყობილი.

იმავე მიზნით კონგრესი ფიქრობს მიიღოს ყველა აუცილებელი საჭირო ზომები, რათა პროფესიონალური მუშაობის დარგში ბატონობდეს პოლიტიკური აზრი და პოლიტიკური მიზნები დროებით, წმინდა პროფესიონალურ მიზნებზედა, და რათა ეკონომიური პროფესიონალური მოძრაობის ცენტრალური ორგანოები ემორჩილებოდეს პოლიტიკურ პარტიას. ამიტომ ის აუცილებელ საჭიროთ ცნობს შეინარჩუნოს პარტიის მკაცრი ერთობა, რათა მას შეეძლოს სწრაფათ [illegible] დაიპყროს მთელი პოლიტიკური ხელისუფლება. ამ დაპყრობისათვის შეიძლება მიღებულ იქნეს ყველა საშუალებანი, ოღონდ ისინი დარჩნენ აბსოლიუტურ კლასიურ შეურიგებლობის ფარგლებში და ეთანხმებოდენ კომუნისტურ რევოლიუციის მიზანს, რომელიც მოითხოვს პოლიტიკურ მუშაობის შეერთებას პროფკავშირების ეკონომიურ მუშაობასთან. ეს მოითხოვს ლეგალურ თუ არა ლეგალურ გამოყენებას ყველა იმისას, რასაც შეუძლია ხელი შეუწყოს მასების აღზრდას და მათ მოძრაობას რევოლიუციონურ დაპყრობისაკენ, ყველა იმისას, რასაც შეუძლია იყოს გამარჯვების იარაღი, ან რასაც შეუძლია საფუძველი ჩაუყაროს იმ ორგანოებს, რომლებიც გასწევენ თანამედროვე საზოგადოების დაწესებულებების მაგივრობას.

გადადის რა იტალიის სოციალისტურ პარტიასა და კომინტერნს შორის ურთი-ერთ დამოკიდებულების გარჩევის შესახებ, კონგრესი ერთხელ კიდევ ადასტურებს თავის პირველ და ნებაყოფლობითი შეერთებას ამ საერთაშორისო გაერთიანებასთან ისევე, როგორც უკანასკნელ მოსკოვის კონგრესის დადგენილებისთვის დამორჩილებას. ამით ის აცხადებს, რომ დასახელებულ კონგრესის შემდეგ ის ღებულობს 21 პირობას მისი არსებითი მხრით და ხელშეუხლებლათ და მასთან უმატებს მას კიდევ ერთ მოთხოვნას ფრანკმასონების ორგანიზაციის გაძევების შესახებ. რაც შეეხება მათ გატარებას ცხოვრებაში, ყრილობა ცდილობს, რომ 21 პირობა ემარჯვებოდეს საერთო პირობებისა და იმ ქვეყნის ისტორიულ მოთხოვნილებების მიხედვით, რომელშიაც მას ახორციელებენ.

სხვათა შორის ამ მუხლში ყრილობა ეთანხმება კომინტერნის აღმასკომს, როგორც სჩანს პირობების მე-16 და მე 21 მუხლებიდან, და აგრეთვე მისი ყოფა-ქცევიდანაც სხვა ქვეყნების მიმართ.

უწევს რა ანგარიშს იმას, რომ თვითეული, რომელიც კი ღებულობს კომინტერნის პრინციპებს, უნდა შეერთდეს ამას სრული რწმენით და მტკიცე გადაწყვეტით განახორციელოს ისინი საქმით, ყრილობას, იხილავს რა იტალიის სოციალისტური პარტიის მოღვაწეობას მე-17 მუხლში ჩამოთვლილ პირობებთან დაკავშირებით, არ შეეძლო გამოეტანა რაიმე [illegible] პარტიისათვის არც ერთი გადახვევისათვის სწორი გზიდან წყეული ომის მთელი წლების განმავლობაში. ამიტომ სურს რა გვერდი აუაროს მას, რომ იტალიის სოციალისტური პარტიის სახელი, რომელსაც ისე კარგათ იცნობენ პროლეტარული მასსები, არ იქნეს გათელილი გუშინდელ და ხვალინდელ გამოქცეულებით, ყრილობა წინადადებას აძლევს ინტერნაციონალის აღმასკომს დაეთანხმოს ამ სახელწოდების დატოვებას დროებით. მაგრამ მას სრულიადაც არ სურს შექმნას ამ საკითხიდან პირობა კომინტერნთან შეერთებისათვის, რომლიდანაც იტალიის სოციალისტური პარტია მოელის და იმედი აქვს მიიღოს მომავალში უფრო პირდაპირი უფრო მუდმივი და უფრო ძმური დახმარება.

მას შემდეგ, რაც ინტერნაციონალის აღმასკომმა განაცხადა, რომ ამ რეზოლიუციის მიღებით იტალიის სოციალისტური პარტია აყენებს თავის თავს მე 3 ინტერნაციონალის გარეშე,—კონგრესმა ერთხმათ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„იტალიის სოციალისტური პარტიის მე-17 კონგრესი, ადასტურებს რა კიდევ ერთხელ იმ რეზოლიუციებს, რომლებშიაც ის აწესებდა თავის კუთვნილებას მე-3 ინტერნაციონალისადმი, ილებდა ყოველგვარ შეზღუდვის გარეშე მის ძირითად მეთოდებს, პროტესტს აცხადებს აღმასკომის წარმომადგენლის განცხადების წინააღმდეგ, რომელიც რიცხავს იტალიის სოციალისტურ პარტიას ინტერნაციონალიდან. ეს გამორიცხვა შეიძლებოდა გამოწვეული ყოფილიყო მხოლოთ აზრთა სხვადასხვაობით იტალიის სინამდვილის დღევანდელ პირობების დაფასებაში,—აზრთა სხვა და სხვაობით, რომელიც უნდა და შეიძლება მოსპობილ იქნეს ძმური ურთიერთობით. ადასტურებს რა ერთხელ კიდევ თავის კუთვნილებას მე-3 ინტერნაციონალისადმი, იტალიის სოციალისტური პარტიის კონგრესი მიმართავს აპელიაციით უახლოეს საერთაშორისო კონგრესს ამ აზრთა სხვა და სხვაობის გადასაწყვეტათ და წინდაწინვე [illegible] რომ თავს მიიღოს და ცხოვრებაში გაატაროს ამ უმაღლესი ინსტანციის დადგენილებები“.

იტალიის სოციალისტური პარტიის დელეგატები ეყრდნობიან რა ინტერნაციონალის წესდების მეცხრე მუხლს, წინადადებას აძლევენ კომინტერნის მე-3 კონგრესს განიხილოს ის მიზეზები, რომლებმაც აიძულა ლივორნოს კონგრესის უმრავლესობა გამოეტანა ზემოდ მოყვანილი რეზოლიუცია:

1) იტალიის სოციალისტურ პარტიას არ დაურღვევია საერთაშორისო დისციპლინა, რამდენათაც ის სავსებით და ერთიანათ ღებულობს 21 პირობას. რეზოლიუციაში ნათლათაა ნათქვამი, რომ 21 პირობას ვღებთ მთელი მისი არსებით და ხელშეუხლებლობით. იტალიის სოციალისტური პარტიის კონგრესმა ხმოსნათ ორი კითხვა მისცა აღმასკომს და სთხოვა, რომ გაერჩია მათთან ერთად. საქმე ეხებოდა რეფორმისტების გაძევების მეთოდებს და ახალი სახელწოდების, კომუნისტური პარტიის სახელწოდების მიღებას.

2) რაც შეეხება რეფორმისტების გამორიცხვას, ლივორნოს კონგრესის უმრავლესობას არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევია. იტალიის სოციალისტურ პარტიას შეუძლია დაეყრდნოს აქ თავის შეურყეველ ტრადიციებს, რომლებსაც მისდევდა ის ჯერ კიდევ კომინტერნის დაარსებამდე. 1912 წ. რეფორმისტები: ბისოლატი, ბონომი, კაბრინი, პოდრეკა და სხვ. გამორიცხულ იქმნენ პარტიიდან იტალიის სოციალისტური პარტიის ტაქტიკისა და დისციპლინის დარღვევისათვის; 1914 წ. გადაწყვეტილ იქმნა ფრანკ-მასონების გამორიცხვა, რომელთა დარღვევითი მოღვაწეობა სოციალისტურ ორგანიზაციებში აყენებდა მათ კლასთა თანამშრომლობისა და „მემარცხენე ბლოკის“ გზაზე. 1915 წ. ომის მომხრეებიც გამორიცხულ იქმნენ პარტიიდან. არასოდეს პარტიის უმრავლესობა არ მალავდა იმას, რომ პარტიაში დარჩენილი ბევრი ელემენტები მიუხედავათ მთელი თავისი დაპირებისა დაეცვათ დისციპლინა, განაგრძობდენ პოლიტიკურ კომპრომისებისათვის მხარის დაჭერას, რომელიც სრულიად არ ეთანხმებოდა რევოლიუციონერთა უმრავლესობის მისწრაფებს. პარტია აღნიშნავდა ამ გადახვევას და არა ერთხელ აწორებდა მას, გრძნობდა რა მათ უსათუოთ ზიანი მოაქვთ პარტიის მოღვაწეობისათვის და წარმოადგენენ საფრთხეს მის მომავლისათვის. უეჭველათ აუცილებელი საჭიროა ამ საფრთხის მოსპობა, მაგრამ უნდა მომენტისა და მეთოდების არჩევა ამ ოპერაციისათვის. აზრთა სხვადასხვაობა გამოჩნდა მხოლოთ ამ მუხლში. ამხანაგების ჯგუფი, რომლებმაც და ირქვეს წმინდა კომუნისტები, დაჟინებით მოითხოვდა ლივორნოს კონგრესზე იმას, რომ აუცილებელი საჭიროა შეუდგეთ რეფორმისტების გაძევებას, იმ დროს, როდესაც უმრავლესობა ფიქრობდა, რომ ხელსაყრელი მომენტი ამისათვის ჯერ არ დამდგარაო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მუშათა მასებს ჯერ კიდევ არ მოუპოვებიათ ნათელი წარმოდგენა ამ მკაცრ და დაუყოვნებლივი უთანხმოების აუცილებლობაზე.

ამ თვალსაზრისს მდგომარეობაზე შეეძლო საბაბი მიეცა კამათისა და სხვადასხვა დაფასებისათვის, მაგრამ მას არ შეეძლო გამხდარიყო საბაბი საერთაშორისო დისციპლინის დარღვევისათვის სხვაგვარათ მოაზროვნეთა მხრიდან. თეზისებში, რომლებიც წინ უძღოდა კომუნისტების პირველი ყრილობის მოწვევას, ნათლად იყო ნათქვამი, რომ რეფორმისტულ და ცენტრისტულ ელემენტების გაძევება აბსოლიუტურათ აუცილებელი საჭირო ხდება ბრძოლის განსაზღვრულ ფაზისის დაწყების დროს. ეს მოითხოვს იმ გარემოებათა და პირობების სწორ გახილვას, რომლებშიაც მიმდინარეობს პარტიის მოღვაწეობა არსებულ მომენტში. სწორეთ ასევე კომინტერნის პირველ კონგრესი ერთ თავის თეზისში სხვა სოციალურ მიმდინარეობათა მიმართ პოლიტიკის შესახებ ადგენდა, რომ ორგანიზაციული რასკოლი ისტორიული აუცილებლობაა, და რომ სხვადასხვა ქვეყნის კომუნისტებს უფლება აქვთ დააწესონ მათ ნაციების მიერ მიღწეულ განვითარების დონეს მიხედვით ნამდვილი დრო, როდესაც ეს რასკოლი უნდა მოხდეს.

ეს თვალსაზრისი კომუნისტურ ტაქტიკის ობიექტურ პირობებზე [illegible] მე-3 კონგრესის [illegible]; პირობების მე-16 მუხლში ხომ ნათქვამია, რომ აღმასკომი უნდა ღებულობდეს სახეში სხვადასხვა პირობებს, რომლებშიაც უხდება თითეულ ცალკე პარტიის ბრძოლა და მუშაობა.

იტალიის სოციალისტური პარტიის უმრავლესობა, ემყარებოდა რა მრავალ ფაქტებს, რომლებიც მან მისი აზრით, მშვენივრათ იცოდა, თვლიდა, რომ იტალიის პროლეტარიატის ინტერესების გულისათვის რასკოლი არ უნდა მომხდარიყო დაუყოვნებლივ. პარტია და მუშათა მასები ჯერ კიდევ არ იყვნენ სექტემბრის ამბების გავლენის ქვეშ, როდესაც ქარხნები დაკავებული იყო ჩვენი პარტიის ყველა ფრაქციის სრული შეთანხმებით, და ამ დაკავებამ არ მიგვიყვანა რევოლიუციამდე არა რაიმე უთანხმოების გამო, არამედ იმიტომ, რომ არ იყო აუცილებელი ტექნიკური მომზადება, რომ შეტევაზე გადასულიყვნენ იმ არმიისა და პოლიციის წინააღმდეგ, რომლებსაც—მობილიზაცია უყო მთავრობამ. შრომის საყოველთაო კონფედერაციის ნაციონალური საბჭო ამ აზრის იყო; ამ აზრს იზიარებდა ბევრი დელეგატები ტურინიდან, იმ ქალაქიდან რომელიც ტექნიკური თვალსაზრისით საუკეთესოთ [illegible] შეიარაღებული ბრძოლისათვის.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი, რომლის უმრავლესობა შესდგებოდა იმ ამხანაგებისაგან, რომლებიც გადავიდნენ შემდეგ „წმინდა კომუნისტების“ რიგებში, „აღმოჩნდა საკმაოთ გაუბედავი და მეტად მოუმზადებელი, როგორც დასაწყისში, ისე მოძრაობის მთელი ხნის განმავლობაში. ცეკამ გამოაშკარავა თავის ძალების სრული უიმედობა, როდესაც რეაქციონერებმა დაწვეს „ავანტის“ რედაქცია, და აგრეთვე, როდესაც ანკონაში იფეთქა აჯანყებამ. შემდეგ ამისთვის მოულოდნელათ მოხდა ბოლონიის ამბები (ნოემბერი 1920 წ.) მაგრამ ვერ აიძულა ის პირდაპირ გამოსვლებზე. ფაშისტების დატაცების შემთხვევის გამო ამ კომუნისტურმა ცეკამ მიუხედავათ სრული უფლებისა, რომელიც მიანიჭა მას შრომის საყოველთაო კონფედერაციის აღმასკომმა არ ჩაითვალა შესაძლებლათ მხარი დაეჭირა მოძრაობის გაფართოვებისათვის და წინააღმდეგობა არ გაუწია მის მშვიდობიანათ დასრულებას.

ამას გარდა, უნდა გვახსოვდეს, რომ მასების თვალში, რომლებიც ყურადღებას არ აქცევენ თეორეტიულ აზრთა სხვა და სხვაობას, ადამიანები იტალიის სოციალისტური პარტიის მემარცხენე ფრთიდან იყვნენ დისციპლინის საკმარისად [illegible] ყველა გამოსვლებში. ისინი წინააღმდეგი იყვნენ ომის, ისინი შეუერთდნენ ციმერვალდს, სწორეთ ისევე, როგორც კომინტერნს, ისინი ენერგიულათ იცავდნენ რუსეთის რევოლიუციას, იმათ მოიწონეს ქარხნების დაკავება და თუ ისინი არ ქადაგებდნენ ამ მოძრაობის გაფართოვებას, ამ მუხლში უფრო ეთანხმებოდნენ ბევრ კომუნისტებს. პროფკავშირებში მათ უკავიათ საპასუხისმგებლო პოსტები და სარგებლობდნენ თავის ამომრჩეველთა სრული ნდობით. მეტის მეტად ძნელი იქნებოდა მათი შეცვლა.

პირიქით, დაუყოვნებლივი რასკოლის უმთავრესი დამნაშავენი ეს „წმინდანები“, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინი მრავალრიცხოვანი არიან და შესწევთ საკმარისი უნარი იმისათვის, რომ ხელთ იგდონ ხელმძღვანელობა მთელი პოლიტიკური და პროფესიონალური მოძრაობის; ისინი აქამდის მეტად გულუხვი არიან დაპირებებზე, მაგრამ პოლიტიკური და ეკონომიური სინამდვილის [illegible] მათ მოუხდათ ან არაფრის კეთება ან და საეჭვო ავანტიურებში გადაშვება.

ყველაფერი ეს მიიღო მხედველობაში ლივორნოს კონგრესის უმრავლესობამ და განსაზღვრა მისი პოზიცია, მისი ვოტუმი. ყველა ეს ფაქტები წარუდგენს განსახილველათ კომინტერნის აღმასკომს, ხოლო ახლა კი წინადადება ეძლევა განიხილოს თვით ინტერნაციონალის კონგრესმა. ის უნდა დარწმუნდეს, რომ აქ არ არის აზრთა სხვა და სხვაობა არსებითათ, თეორეტიულ და პრაქტიკულ საკითხების შესახებ, არაა [illegible] იმაზე, რომ დაინდონ ცალკე პირები ან ცალკე ჯგუფები, მაგრამ არის მეტი სერიოზული პოლიტიკური მიზეზები, რომლებმაც გვაიძულეს ჩვენ ფრთხილათ მოვკიდებოდით საკითხს იმის შესახებ, რომ კეთილ საიმედო [illegible] კეთილ საიმედო პირობებში გვეხდინა ჩვენ რასკოლის მოხდენა.

სხვა ნაციების დელეგატები შეუთითებდნენ ამ კონგრესს ყველაფერზე, რაც კი რამ უწყინარო და ცუდად მომზადებული იყო [illegible], რომელთაც გამოიღო ქმნა ლივორნოს კონგრესი: იტალიაში ეს ფაქტი, რომ პროფკავშირების უმრავლესი ნაწილი გაყვა სოციალისტურ პარტიის უმრავლესობას, და რომ დიდი უმცირესობა, რომლებიც მოყვებოდა „წმინდანებს“ ლივორნოს კონგრესზე, ახლა ხელახლა უბრუნდება იტალიის სოციალისტურ პარტიას, საკმარისად ცხადყოფს, რომ ლივორნოს უმრავლესობა მართალი იყო.

ჩვენ გვგონია, რომ საკმარისად ნათლად გადმოვეცით ის კონფლიქტი, რომლის გადასაწყვეტათ მოწვეულია საერთაშორისო კონგრესი.

რაც შეეხება საკითხს სახელწოდების შესახებ, ლივორნოში მიღებული რეზოლიუცია არ საჭიროებს კომენტარიებს. ამ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ მოტივები რომლებიც გამოთქვა ინტერნაციონალმა საერთოთ არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს იტალიის სოციალისტური პარტიის მიმართ. იტალიის სოციალისტური პარტიას ომის მთელი ხნის განმავლობაში ეკავა ისეთი პოზიცია, რომ ბრალი ვინმეს რომ დაედო მისთვის სოციალ-პატრიოტიზმში, მაშინ არც ერთი პარტია მთელ მსოფლიოში ღირსი არ იქნებოდა დაეკავებინა ღირსეული ადგილი კომინტერნში.

ბენტივოლიოს რეზოლიუციაში იტალიის სოციალისტურმა პარტიამ საბოლოოთ მიიჩნია თავის ყოფა ქცევის ხაზი. ის დარჩება მესამე ინტერნაციონალთან. ის არასდროს არ ჩამოშორდება კლასიური ბრძოლის ნიადაგს, და დაგმობს, როგორც ამას ყოველთვის შვრებოდა, ბურჟუაზიასთან თანამშრომლობის ყოველგვარ ტაქტიკას.

სოციალისტური პარტიის ცეკამ უკვე დაადგინა მოიწვიოს ახალი ყრილობა, რომელიც იქნება ერთად ერთი გადამჭრელი იტალიის პოლიტიკისა; ეს ამოცანა უსათუოთ დასმულ იქნება ისე, როგორც ამას მოითხოვს ჩვენგან შექმნილი მდგომარეობა.

იტალიის სოციალისტური პარტია არის და ყოველთვის იქნება რევოლიუციასთან ერთად, და არასოდეს რევოლიუციის წინააღმდეგ.

(შემდეგი იქნება)

ქრონიკა

◆ **უდიდესი ცეცხლი სენაკში.** 18 აგვისტოს ახალსენაკში გაჩნდა დიდი ცეცხლი, რომელმაც გაანადგურა ქალაქის მთელი ცენტრალური და უკეთესი ნაწილი. ცეცხლი გაჩნდა გაუფრთხილებლობის გამო, რომელმაც მოიტანა მრავალი მილიონის ზარალი. ცეცხლმა შთანთქა სახლები და მაღაზიები.

◆ **შეშის დამზადება.** ქალ. რევკომის კომ. განყოფილებას განზრახვა აქვს [illegible] 100 დესეტინა სამეურნეო ტყის აგარაკში შეშის სამეურნეო წესით დამზადებლათ. თუ თავის დროზე მოწყობილია იქნება ფულის ნაწილები ამ ოპერაციის განსახორციელებლათ, მომავალ ზამთრისთვის [illegible] შეძლებს დაამზადოს 3000 კუბ. საჟენი შეშა.

◆ **ნატურ გადასახადის აკრეფა.** ნატურ გადასახადის აკრეფა ქალაქის ფარგლებში ყველა დათესილ [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტ. რესპუბლიკის სასურსათო ყრილობა

(29 ივლისის სხდომა).

ამხ. ერქომაიშვილის მოხსენება სასურსათო გადასახადის შესახებ.

(თეზისები).

1. სასურსათო გადასახადი წარმოადგენს ერთ ძირითად ელემენტთაგანს ამ მომენტში საბჭოთა ეკონომიურ პოლიტიკისას, ის უკავშირდება ამ პოლიტიკის სხვა ძირითად ელემენტებს—ადგილობრივ პროდუქტების ტრიალის თავისუფლებას, კოოპერაციის განვითარებას, როგორც მშრომელ მასების სამეურნეო ორგანიზაციის და თვითმოქმედების ფორმას, და კერძო კაპიტალის ჩარევას მეურნეობის ორგანიზაციაში სახელმწიფოს კონტროლისა და მოწესრიგების ქვეშ.

2. სასურსათო გადასახადის, რომელიც საქონლის გაცვლა-გამოცვლასთან მჭიდროთ დაკავშირებულია,—ერთი მიზანია ქალაქსა და სოფელს შორის ეკონომიურ კავშირისა და პროდუქტების წესიერი გაცვლა-გამოცვლის დამყარება. სასურსათო გადასახადი არის ამ კავშირის ერთი მიმართულება, მეორე მიმართულება—კი წარმოადგენს სოფლისათვის ფაბრიკა-ქარხნების მრეწველობის ნაწარმოებების მიწოდება.

3. საზოგადო ფინანსიური კრიზისი და ქაღალდის ფულის ტრიალის და საქონლის არა წონასწორობა—სპობენ ყოველიკე შესაძლებლობას, რომ ძირითად საზომად მოქალაქეთა მიერ სახელმწიფოს წინაშე მატერიალურ ვალდებულებათა შესრულების დროს აღებულ იქმნას ფულის ერთეული, ამიტომ ის მოქალაქენი, რომლებიც მატერიალურ ღირებულებათა დამოუკიდებელი მწარმოებლები არიან, ამ ვალდებულებებს უნდა ასრულებდნენ მათ მიერ ნაწარმოებ ღირებულებების განსაზღვრული ნაწილის სახელმწიფოს განკარგულებაში გადაცემის გზით.

4. სასურსათო გადასახადს იმას გარდა, რომ ის არის საერთო ეკონომიური პოლიტიკის ერთი ელემენტთაგანი, სპეციალური მნიშვნელობაც აქვს სასურსათო და საგარეო ვაჭრობის სფეროებში; სასურსათო გადასახადს სასურსათო სფეროში მიზნათ აქვს გადიდება სურსათის სახელმწიფოებრივ მარაგისა, რომელსაც სახელმწიფო აწოდებს მშრომელთა, იმ სხვა და სხვა კათეგორიებს, სურსათ-სანოვაგის ნაკლებობას რომ განიცდიან; ამ მარაგის ის ნაწილი, რომელიც ეხლა შევსებულ იქნება სასურსათო გადასახადის გზით, არ შეიძლება ეხლა შეიქმნას საქონლის გაცვლა-გამოცვლის გზით, რაკი არ არის საკმაო საქონლის ფონდი, და არც შეიძლება შესყიდვის გზით შესდგეს, რადგანაც ეს უკანასკნელი [illegible] გამოიწვევდა ემისიის გადიდებას და ამით უფრო დასცემდა ქაღალდის ფულის კურსს.

5. საქართველოში სასურსათო გადასახადის თავის განსაკუთრებული დანიშნულება აქვს პურეულობაზე გადასახადის დაწესების მხრივ; ამ უკანასკნელის საერთო პირობებში სავსებით ვერც-კი აკმაყოფილებს სოფლის მთელ მოსახლეობის მოთხოვნილებებს, მაგრამ რაკი მთელს რესპუბლიკაში ზოგგან უფრო მეტათ მჭიდროთ, ზოგგან ნაკლებათ არის მოსახლეობა და ამასთანავე მიწის ნაყოფიერებაც სხვა და სხვაა, ამიტომ რესპუბლიკის ზოგიერთ ადგილებში გროვდება პურეულობის დიდი ზედმეტი რაოდენობა, ზოგან კი პირიქით, პურეულის მოკრების შემდეგ დიდ დეფიციტს აქვს ადგილი; ამიტომ პურნაკლულსა და პურმეტ ადგილებ შორის ადგილი აქვს ამ პროდუქტის გაცვლა-გამოცვლას მაგრამ რაკი პურის რაოდენობა საერთოდ არ არის საკმარისი და ამასთანავე ადგილი აქვს მძიმე სასურსათო კრიზისს—ამიტომ თუ ეს გაცვლა-გამოცვლა კერძო ვაჭრობის ხელით იწარმოებს იგი გადაიქცევა [illegible] და მაინც [illegible] სპეკულიაციის [illegible], და ამით გამოიწვევს პურზე ფასების აწევას, მეორე მხრივ კი უწესრიგო და უგეგმო იქნება, სასურსათო გადასახადი პურეულობაზე მოსპობს ამ სპეკულიაციას და მოაწესრიგებს გაცვლა-გამოცვლას მწარმოებელ და მომხმარებელ ადგილებს შორის.

6. სოფლის მეურნეობის სხვა ნაწარმოების მიმართ სასურსათო გადასახადს მიზნათ აქვს ერთ შემთხვევაში (მაგ. ხილი, ყველი და სხ.)—სასურსათო მომარაგების სახელმწიფოებრივ ფონდის გადიდება, მეორე შემთხვევაში კი (მაგ. გადასახადი მატყლზე, ღვინოზე და სხ.) სახელმწიფოს სავალიუტო საექსპორტო ფონდის გაძლიერება; უკანასკნელს გარემოებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკისათვის; გადამამუშავებელ წარმოების სუსტ განვითარებისა და კაპიტალისტურ ქვეყნებში ქაღალდის ფულით რაიმეს შესყიდვის შეუძლებლობის პირობებში—საზღვარ-გარეთიდან საჭირო საქონლის ფაბრიკატები და იარაღების მიღება შეიძლება მხოლოდ ნედლი მასალის საშუალებით; ნედლი მასალა, სასურსათო გადასახადის საშუალებით შეგროვილი, სახელმწიფოს იაფათ დაუჯდება და მას შესაძლებლობას მისცემს რესპუბლიკის მომხმარებელთა და წარმოებისათვის ხელსაყრელ პირობებში შეიძინოს მათთვის საჭირო საქონლები და გააიაფოს წარმოება.

7. გადასახადი ედება კერძო მწარმოებელ ერთეულებს მაგ. მეურნეობებს, მიწის-მომქმედ მეურნეობებში გადასახადის გამოანგარიშება ხდება მათ მოედნების მიხედვით, სხვა სოფლის მეურნეობებში-კი (მესაქონლეობა) მწარმოებელ ერთეულების რაოდენობის მიხედვით (მაგ. საქონლის თავის) გადასახადის განაკვეთის გამოანგარიშების დროს მხედველობაში იქმნა მიღებული ნაწარმოებების ის ზედმეტი რაოდენობა, რომელიც რჩება თვით მწარმოებლებს თავის მოთხოვნილებათა (რასაკვირველია, ამ პროდუქტებით) დაკმაყოფილების შემდეგ, და მეურნეობანი, მიმღებნი პროდუქტების ისეთი რაოდენობისა, რომელიც არ აღემატება მომხმარებელთათვის დაწესებულ ნორმას, გადასახადისაგან განთავისუფლებულნი არიან—გადასახადი აგებული პროგრესიულობის პრინციპზე, ე. ი. იმ მეურნეობაში, რომლებსაც პროდუქტების უფრო დიდი ზედმეტი რაოდენობა აქვთ—განაკვეთი თვითეულ ერთეულზე უფრო დიდი, ამიტომ მიწათმომქმედ მეურნეობებში განაკვეთების პროგრესი გატარებულია როგორც მეურნეობის სიდიდესთან (მოედნის) ისევე მოსავლის რაოდენობასთან შეფარდებით. გადასახადის განაკვეთების რაოდენობა პურეულობისათვის ხორბლისთვის დესეტინაზე 5 გირვანქასა და 14 ფუთს შორის, ხოლო სიმინდისათვის—დესეტინიდან 10 გირვან. ერთი მხრივ და 38 ფუთს შორის მეორე მხრივ—არიან მოქცეულნი. მეურნეობის უფრო ხშირ ფარგლებისა და მოსალოდნელ მოსავლის გამო უფრო ხშირი იქნება შემდეგი განაკვეთები: სიმინდის მეურნეობისათვის 6 ფ. და 7 ფუთი სიმინდი დესეტინიდან და მეურნეობიდან კი 20 გირ. და 1 ფ. და 20 გირ. ხორბალი დესეტინისაგან; განაკვეთები მევენახეობის ნაწარმოებზე იქნება 1 ვედრო ღვინისა ან 1 ფუთ ყურძნისაგან 300 ვედრო ღვინისა ან 300 ფუთ ყურძნამდის მეურნეობაზე; უფრო დამახასიათებელი და ხშირი რაოდენობა განაკვეთების იქნება 2. 4. 5 ვედრო ღვინო ან ფუთი ყურძენი მეურნეობაზე; გადასახადის განაკვეთები მატყლზე როგორც ცხვრის გაურეცხავ მატყლის მეოთხედ გირვანქიდან მესამედ გირვანქამდის იქნება უფრო ხშირი და დამახასიათებელი იქნება განაკვეთი ნახევარი გირვანქის რაოდენობით.

8. მთელი პროცედურა სასურსათო გადასახადისა ორ ნაწილად იყოფა: ყოველიკე გადამხდელისათვის გადასახადის გამოანგარიშება და თვით აღება (მოკრება) გადასახადისა, პირველ ნაწილში მოქმედებენ სამაზრო სასურსათო გადასახადის შესახებ კომისიები, მათი რწმუნებულები, თემის რევკომები, რწმუნებულები (წარმომადგენლები) მცხოვრებლებისა, (როგორც გადასახადის გადამხდელებისა) მაზრის კომისიები სპეციალურათ იქმნებიან, მათ მიზანს წარმოადგენს სიების შედგენა, სიების შესახებ საჩივრების განხილვა ყოველიკე გადამხდელისათვის გადასახადის რაოდენობის განსაზღვრა; ამ კომისიაში შედიან სამაზრო სასურსათო კომისარი (კომისიის თავმჯდომარეთ) სამსასურკომის კოლეგიის ერთი წევრი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე) მაზრის აგრონომი, სამაზრო რევკომის წარმომადგენელი და გადასახადთა ინსპექტორი, კომისიაში სათათბირო ხმის უფლებით თავის თანამდებობის გამო შედიან: მიწის ფონდის გამგე, მაზრის სტატისტიკურ ბიუროს გამგე, მეტყევე (ლესნიჩი) კომლების სიებს ადგენს თემის რევკომები, რომლებიც აღნიშნავენ შიგ ყველა საჭირო ცნობებს, მაგ. მჭამელთა რაოდენობას, და სხვა ნათესების მოედნების სიდიდეს) საქონლის თავების რიცხვს და სხვ. (ვადა ერთი კვირა) სიების შედგენაში მონაწილეობას იღებენ მცხოვრებლების რწმუნებულები (წარმომადგენლები) (თითო თემის ყოველ სოფელზე) სიების შედგენის შემდეგ სამაზრო კომისიები აგზავნიან თავის რწმუნებულებს თემებში, სადაც ისინი ადგილობრივ სინჯავენ ამ სიების სისწორეს და იღებენ მათზე საჩივრებს (ვადა—ერთი კვირაა), გასინჯული სიები მიდის სამაზრო კომისიაში, რომელიც ა) იხილავს ყველა საჩივრებს და იღებს მათ შესახებ ამა თუ იმ გადაწყვეტილებას, ბ) არკვევს, თუ რომელი მეურნე თავისუფლდება გადასახადისაგან და გ) საზღვრავს გადასახადის სიდიდეს ყოველიკე გადამხდელისათვის (ვადა ერთი კვირა), გადასახადის სიდიდის გამორკვევა შემდეგნაირად ხდება: კომისია საზღვრავს ნათესების რიცხვს მჭამელზე, ჰყოფს რა მეურნეობის მთელ მოედანს მეურნეობაში მყოფ მჭამელთა რიცხვზე (და არკვევს სიის მიხედვით საქონლის თავების რიცხვს) და განკვეთის ცხრილის მიხედვით (რომელიც დეკრეტში მოთავსებულია) საზღვრავს გადასახადის რაოდენობას იმ მოსავლის მიხედვით, რომელიც მიღებული აქვს სახსასურკომს მიწის მომქმედო სახალხო კომისარიატს და წესს ამ რაიონისათვის; შემდეგ კომისია აგზავნის სიის ერთს ეგზემპლიარს თემის რევკომში, რომელიც აქვეყნებს სიას საყოველთაო ცნობისათვის სოფლის ყრილობებზე, კომისია აგრეთვე ატყობინებს გადამხდელების სიებს იმ ორგანოებს, რომლებიც აგროვებენ გადასახადს. სიების არა თავის დროზე და არა წესიერად შესრულებისათვის, ყველა ის პირნი, რომლებზედაც არის დაკისრებული საქმე სიების შედგენა ე. ი. თემის რევკომების წევრები, სამაზრო კომისიების წევრები და რწმუნებულები და სხ.) ადმინისტრატიული წესით იქნებიან დასჯილნი.

9. გადასახადის შეკრებაში მონაწილეობას იღებენ: სახსასურკომის რწმუნებულები, დამამზადებელი კონტორები და კოოპერატივები, რომლებიც ყოველთვის სცვლიან დამამზადებელ კონტორებს დამამზადებელი კანტორები რაიონების ეკონომიურ ცენტრებში არსდებიან და ეს დამოკიდებული გეოგრაფიულ პირობებისაგან (გზები, ხიდები და სხვ.) და ამ კანტორების რიცხვი მაზრაში 4-დან 10-დის არის კოოპერატივები იღებენ მონაწილეობას გადასახადის მოკრეფაში მოლაპარაკების მიხედვით და ასრულებენ საკომისიო ჯილდოს; პროდუქტები გადამხდელებს თვითონვე მიაქვთ მიმღებ პუნქტებზე, პროდუქტები უნდა იყოს კარგი ხარისხისა, დამაკმაყოფილებლად ცნობილ ხარისხებისა. შესახებ წესები (7. სპარტის, სიწმინდის და სხ.) საინსტრუქციო რიგით იქნება გამოცემული; ღვინისა და ყურძნის მოსაკრებად მოწვეულ იქნებიან ღვინის წარმოებები (საბჭოთა მამულები, სანერგეები, კერძო პირების მიერ იჯარით აღებული სარდაფები და სხ.), რომლებიც მოქმედებენ, როგორც დამამზადებელი კონტორები, სახსასურკომის რწმუნებულებს მინიჭებული აქვთ დამამზადებელი კანტორების გამგეთ და კოოპერატივების, საბჭოთა მამულების და სხ. კონტროლის უფლებები.

10. გადახდილი პროდუქტები ჩაბარებულ უნდა იქმნეს მათი მოკრების შემდეგ იმ ვადებში, რომლებსაც დააწესებს სახსასურკომი; უგრძესი ვადა, რომლის შემდეგაც არ გადახდილთა წინააღმდეგ მიღებული იქნება იძულებითი ზომები, შემდეგი: „პური, ქერის და ფეტვისათვის ამ წლის 1 ოქტომბერი, სხვა დანარჩენი პურეულობისათვის (მათ რიცხვში სიმინდია) და მატყლისათვის ამა წლის 15 დეკემბერი, ღვინისათვის ამა წლის 1 დეკემბერი,

11. გადამხდელთა მიმართ იძულებითი ზომების განმახორციელებელი ორგანოები არიან სამსასურკომები, ისინი მოქმედობენ გადამხდელთა მიერ გადასახადის ჩაბარების დაჩქარების მხრივ, და საჭირო შემთხვევებში აწარმოებენ მის მოკრებას ძალით, მიაქვს რა ჩამორთმეული ნაწარმოები დაწესებულ მიმღებ პუნქტებზე გადამხდელთა საშუალებითვე. იძულების აპარატს წარმოადგენენ რევკომები მათი მილიციით, რომლების საშუალებითაც მოქმედებენ სამსასურკომები. საჩივრები სხვადასხვა ორგანოების მოქმედებაზე გადასახადის მოკრებისა და ჩამორთმევის დროის [illegible] უნდა იქმნენ საერთო წესის მიხედვით (მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივრების ბიუროში და სახსასურკომში) ამასთან, ისინი უნდა აღძრან ერთი კვირის ვადაში და საბოლოოთ უნდა გადასწყდეს ორი კვირის განმავლობაში.

მოხსენების შემდეგ ამხ. ერქომაიშვილი აძლევს პასუხებს მთელ რიგ შეკითხვებზე და განმარტავს საკითხებს, რომლებიც ეხება ნატურალურ გადასახადის პრაქტიკულ განხორციელებას.

ლეულობისაგან მოსავლის მე 10 ნაწილისა უკვე დამთავრდა. და თბილისის რევ-კომის კომ განყოფილებაში უკვე შეუდგენ იმის გამორკვევას, ქალაქის მიწების რაიონში რომელ ბაღს და სიმინდს რა უნდა გადაიხადოს ქალაქის სასარგებლოთ.

◆ **მთავარი სამხატვრო კომიტეტი.** განათლების სახალ. კომისარიატის აკადემიურ ცენტრთან დაარსებულია მთავარი სამხატვრო კომიტეტი, რომლის კომპეტენციაში შედის იდეური ხელმძღვანელობა ყველა დარგის საქართველოს ფარგლებში, კომიტეტის თავმჯდომარეთ დანიშნულია გრ. რობაქიძე, თავმჯდომარის ამხანაგათ ა. პოკროვსკი. კომიტეტი შესდგება 5 სექციისაგან: ლიტერატურული, მუსიკალური, გამომსახველი, თეატრალური და კინემატოგრაფიული.

— **ხელმეორე კონკურსი.** სამხატვრო მთავარი კომიტეტის გამომსახველ ხელოვნების სექციამ შეატყობინა საქართველოს რევკომს, რომ მოქანდაკეთა განცხადებებიდან ჩანს, პროექტები ძეგლებისა თავისუფალ საქართველოსი, კარლ მარქსის, პარიზის კომუნის და შ. რუსთაველის, რომელთა კონკურსი გამოცხადებული იყო 16 ივნისს ვადა კონკურსისა გადის 16 აგვისტოს შეუძლებელია წარმოდგენილ იქმნას ტეხნიკური მიზეზების გამო, ამისათვის გამომსახველ ხელოვნების სექცია სთხოვს რევკომს რათა დანიშნულ იქნას კონკურსი ხელმეორეთ. ახალი საკონკურსო პროგრამის გამომუშავებას და ფართოთ მიზიდვას ამ სამუშაოზე ადგილობრივი სპეციალური ძალებისას თავზე ლებულობს გამომსახველ ხელოვნების სექცია.

— **სიმღერები და ნოტები.** სამხატვრო მთავარი კომიტეტის მიერ აღძრულია შუამდგომლობა აკადემიურ ცენტრის წინაშე, რათა დაჩქარებით შეძენილ იქნას სიმღერები და ნოტები კლასიკურ რეპერტუარისა, რომელიც ჩამოტანილია თბილისში ერთ გერმანელ ფირმის მიერ.

◆ **მეეტლებზე ნატურ გადასახადი.** ვინაიდან ქალაქის რევკომის კომ. განყოფილება გადამზიდველ საშუალებას მოკლებულია და ქალაქის რევკომს თავს აწევს ერთობ დიდი მუშაობა, როგორც ნატურ-გადასახადის, ისე ქუჩების შეკეთებისა, სახლებისა, ქალაქის მიწების მოწყობისა და ამასთან ისეც, რომ მგზავრთა და ტვირთის მეეტლები არ ეწევიან ცხენზე გადასახადს, ქალ. რევკომმა დაადგინა, მათზე ნატურ გადასახადის შემოღება იმ ანგარიშით, რომ თითოეულმა მეეტლემ (ფაეტონი, ლინეიკა, ტაჩკა, ურემი, დროგი და სხვა) თვეში ერთი დღე იმუშაოს კომ. მეურნეობისათვის.

◆ **ზ. ს. სახ. კომისარიატი.** ზ. ს. სახ. კომისარიატში მუშავდება შესატანად საქარ. რევკომში პროექტები დებულებისა: 1) ცალკე ფონდის და ბაზებზე სამაზრო რევკომების იმ ხარჯების, დასაფარავად, რომელიც ხარჯთ-აღრიცხვით არ იყო გათვალისწინებული და ამ ფონდიდან ფულის გაღების წესის შესახებ, 2) ადგილობრივად კანონებისა და პროექტების ძალაში შესვლისა. და 3) კონფისკაცია იმ პირთა მოძრავი და უძრავი ქონებისა, რომლებიც თებერვლის გადატრიალების შემდეგ გასული არიან საქართველოს საზღვრებიდან, როგორც ემიგრანტები.

◆ **რევკომთა რევიზია.** ზ. ს. სახ. კომისარიატის მიერ მოწყობილია საგანგებო კომისია 9 წევრისაგან, რომელიც სამეულად გაყოფილია სამაზრო რევ-კომების სარევიზიოთ. სამეულმა, წასულმა ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებში, უკვე დაამთავრა ამ მაზრების რევკომთა რევიზია და შეუდგა მეზობელ მაზრების რევიზიას. სამეულს, რომელიც რევიზიას უკეთებს ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, და ლეჩხუმის მაზრის რევკომებს, ჯერ კიდევ არ დაუმთავრებია რევიზია. რევიზიამ გამოარკვია საკმარისად ბევრი გარდახვევანი, რაც უმთავრესად გამომდინარეობდა რევკომთა წევრების გამოუცდელობისაგან, შეცდომებს სარევიზიო სამეულები იქვე ადგილობრივად ასწორებენ. საერთოთ რევკომთა მუშაობა ნაყოფიერია. დაწვრილებითი ცნობები რევიზიის შესახებ თავის დროზე გამოქვეყნებული იქნება.

◆ **რევკომების ანკეტა** ზ. ს. სახ. კომისარიატის საინსტრუქტორო—საინფორმაციო განყოფილების მიერ გაგზავნილია ყველა მაზრების, რაიონის და თემის რევკომებში პირადი საანკეტო ფურცლების ბლანკი, დანიშნულ რევკომთა წევრთათვის ერთი კვირის განმავლობაში დღიდან საანკეტო ბლანკის მიღებისა უნდა წარმოადგინონ შევსებული ანკეტის ფურცელი ზ. ს. კომისარიატში.

პარტიული ცხოვრება

მეოთხე რაიკომის პრეზიდიუმი აუწყებს ყველა წევრებს და კანდიდატებს, რომ დღეს 24 აგვისტოს სად. 7 საათზე მიხა ცხაკაიას სახელწოდების მუშათა კლუბში დანიშნულია საერთო სარაიონო კრება.

დღიური წეს-რიგი:

1. მოხსენება თავმჯდომარის ცენტ. კომისიის თბილისის განმწმენდელ ამხ. სიდომონაშვილის.
2. ინფორმაცია მეოთხე რაიკომის პრეზიდიუმისა.
3. მიმდინარე კითხვები.

—

მე-4-ე რაიონის პარტიის წევრთა საერთო კრება.

პარასკევს, 19 აგვისტოს, მიხა ცხაკაიას სახელობის პარტიულ კლუბში, ვერის დაღმართზე შესდგა კომპარტიის ტფილ. ორგანიზაციის მე-4-ე რაიონის წევრთა და კანდიდატთა საერთო კრება.

კრება გახსნა ხსენებულ რაიონის მდივანმა ამხ. გარდაშიძემ.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება კავკასიის საოლქო პარტიული თათბირის შესახებ. და 2) ახლად მიღებულ კანდიდატთა ანკეტების დამტკიცება.

პირველი კითხვაზე მოხსენება გააკეთა თფილ. პარტკომის მდივანმა ამხ. ლევან ლოლომერიძემ. მოხსენებას ჰქონდა ინფორმაციული ხასიათი. იგი ფართოდ შეეხო თათბირს, დაწვრილებით გადმოშალა კრების წინ მისი მუშაობის შედეგი და დასკვნა: —ამ თათბირის მიზანი იყო. 1) პარტიის გაწმენდა შემოპარულ არასასურველი ელემენტებისაგან, 2) კავკასიის ოლქის პარტიული ძალების კოორდინაცია, აღრიცხვა, რაციონალურად განაწილება—გადაჯგუფება მათი. 3) გამომუშავება ერთი საერთო პოლიტიკური ხაზისა და სხვა. ეს ამხანაგებო, ეს შეკითხვები ყოველმხრივ გაშუქებული და გარჩეულ-გადაწყვეტილი იქმნა, რის ცხოვრებაში გატარება, ხორცის შესხმა მთლიანად ჩვენზე,—ჩვენს ორგანიზაციებზეა დამოკიდებული.

შემდეგ გამოვიდა პროფკავშირების საბჭოს მდივანი ამხ. გიორგი ყურულაშვილი, რომელმაც შეიტანა შესწორება მოხსენების იმ ნაწილში, სადაც ლაპარაკი იყო პროფკავშირთა მიზნებზე.

დასასრული მიცემული იქმნა კრების მიერ მოხსენებით გამოწვეული მრავალი შეკითხვები რაზედაც ამხ. მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა.

მეორე კითხვაზე—ანკეტების დამტკიცება, კრებას ვეღარ მოუხდა მსჯელობა, რადგან ერთობ გვიანი იყო და შემდეგი მორიგ კრებისთვის გადაიდო.

—

ხსენებული კლუბში თვალს ხვდება ერთობ ბევრი, ზედმეტად მიჩნეული გრძელი ჩამოსაჯდომი სკამები იქით-აქეთ უწესოდ მიწყობილ-მიყრილი, რაც მეტად ვნებს კლუბის გარეგნულ სილამაზეს. ჩვენ გვფიქრობთ,—უფრო მიზან შეწონილი და გონივრული იქნება, რომ ეს სკამები გამოიტანონ, რუსთაველის პროსპექტზე დადგან შემდეგი პირობით,—განსაზღვრული ნორმის შემუშავებით ზედ დამსხდომებმა გადაიხადონ ფულ- რაც მთლიანად წავა სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატში, ხსენებული კომისარიატის დაცალიერებული კასის შესავსებად.

ხევსური.

—

მარტვილის რაიონი (ს. მაზრა)

25 ივლისიდან 24 აგვისტომდე მარტვილის რაიონის პარტკომის პასუხის მგებელ მდივანმა ინსტრუქტორების დახმარებით შემოიარა მთელი რაიონის ორგანიზაციები და იაჩეიკები და მოაწყო საერთო პარტიულ ამხანაგების და კანდიდატების კრებები 7 თემში: მარტვილის, ნახუნავოს, ნაგვაზავოს, ხუნწის, გორდის, კინჩხის და გაჭედილის. კრებებზე გარდა ადგილობრივად დაბადებულ საკითხებისა გაშუქებულ იქნა შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება მიმდინარე მომენტზე, 2) რაიონის პასუხისმგებელი მდივნების თათბირის შესახებ, 3) პარტიულ მუშაობაზე.

პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა რაიონის პარტკომის პასუხისმგებელ მდივანმა ამხ. იაკობ მონიავამ. მან ვრცლად და მდაბიოდ განუმარტა ამხანაგებს საბჭოთა რესპუბლიკების თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა და გააკეთა მიმოხილვა ბურჟუაზიულ სახელმწიფოების ეკონომიურ პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, მისი მოხსენებიდან გამოირკვა, რომ საბჭოთა რესპუბლიკების საერთაშორისო და პოლიტიკური ეკონომიური მდგომარეობა თანდათან უმჯობესდება ახლოთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოებში ეკონომიური და პოლიტიკური პირობების გართულებას აუცილებელ შედეგს წარმოადგენს სოციალისტური რევოლიუცია, რომელიც ახლო მომავალში იფეთქებს ევროპაში. მოხსენებით ფრიად კმაყოფილი დარჩენ ამხანაგები და ფიცი დასდევენ დაუღალავად იმუშაონ საბჭოთა წესების განმტკიცებისათვის მთელს მსოფლიოში.

სარაიონო მდივნების თათბირის შესახებ და მის მიერ შემუშავებული მომავალი მუშაობის გეგმა გააცნეს ამხ. ი. მონიავამ და თომა თოფურიამ. პარტიული მუშაობის, მისი დისციპლინის და ახლო მომავალში პარტიულ ამოცანების შესახებ განმარტება მისცა იმავე ამხ. მონიავამ.

მარტვილის პარტკომი.

მოსავლის ნიშნები

ცენტრალ სტატისტიკურ სამმართველოსაგან.

წინასწარ აღნუსხვის მიზნით თუ რა პირი უჩანს პურის მოსავალს აღმოსავლეთ საქართველოში და სიმინდს რესპუბლიკაში, დაეგზავნებათ ცარიელი საანკეტო ფურცლები შესავსებლად მოხალისე კორესპოდენტებს, თემებს, აგრონომებს და სხვ.

ეს ცნობები ც. ს. ს. ხელთ ექნება დაახლოვებით შუა რიცხვებში,

გარდა ამისა ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველომ წინადადება მისცა ყველა სამაზრო რევკომებს სასურსათო კომისარიატს და სამაზრო სტატბიუროებს ყოველ თვიურად 1—15 რიცხვებში ტელეგრაფით მოაწოდინონ ცნობა სიმინდის მოსავლის. უკვე მიღებულია ცნობები თუ რა მდგომარეობაში არის ნათესი შემდეგ მაზრებში.

ახალციხის მაზრაში სიმინდის მოსავლის პირი, ვინაიდგან იდგა ხანგრძლივი გვალვა, საშუალოზედ მდარეა. გორის მაზ.—კარგია. სენაკის—საშუალოზედ მდარეა. რაჭის—საშუალო. ბათუმის ოლქში ამ უკანასკნელ ხანებში სიმინდი ძლიერ დაზიანდა გვალვის გამო დიდი ზიანი აქვს მიყენებული ზემო და ქვემო აჭარას, სადაც მოსავლის პირი ცუდია.

ზღვის პირას მდებარე მდაბლობებში საშუალოა. მთაგორიან ადგილებში საშუალოზედ ნაკლები. თიანეთის მაზ.—კარგია. ოზურგეთის მაზ.—საშუალოზედ მდარეა. თელავის მაზ.—კარგია.

საქართველოს წითელ ლაშქარში

კულტურულ განმანათლებელი მუშაობა ცალკე სანაპირო ბრიგადის შტაბში

სანაპირო ბრიგადის შტაბის წითელ არმიელებმა და უფროსშემადგენლობამ დიდი სასარგებლო საქმე შექმნეს: ამავე ბრიგადის სამხედრო კომისრის ამხ. თუხარელის თაოსნობით სცენის მოყვარეთა წრე შესდგა. წრის მიზანია მართოს სალამოები წითელ არმიელთა მონაწილეობით და მით გამოიწვიოს მათში აქტიობა კულტურულ განმანათლებელ საქმეში. ამ მიზნით, აგვისტოს 2 ს, ქართულ კლუბის სცენაზე წარმოდგენილი იქმნა ამხ. თუხარელის რეჟისორობით მხიარული კომედია „რაც გინახავს-ვეღარ ნახავ“, სამ მოქმედებად და კონცერტიული განყოფილება ქალ. ტფილისის სახკულტსო არტისტიული ძალის მონაწილეობით. წარმოდგენის დაწყებამდე საგანგებო მოწვეულმა ამხანაგმა წარმოსთქვა სიტყვა „საბჭოთა ძალაუფლება ახალი ხელოვნებაა“ და დასასრულს მოუწოდა დამსწრეებს ხელოვნებას ხელი შეუწყონ. შემდეგ წარმოადგინეს რაც გინახავს—ვეღარ—ნახავ, ამისთანა სიცოცხლით სავსე, ანსამბლით სრული და მოხდენილი წარმოდგენა იშვიათად გვინახავს, რაც ამტკიცებს რეჟისორის ენერგიულ მუშაობას პიესის მომზადებაში მიუხედავად იმისა, რომ ზოგი ახლად ან მეორედ იყო გამოსული სცენაზე. მახვრა—მოხვრა, ჩაცმულობა და გრიმი ყველას შესაფერი ჰქონდა. მონაწილეობდენ: ამხანაგები: ყიფიანი (კალ ინე), ხაჭაპარიანი (ლიზა) კორკიშვილი (ორომსე), თუხარელი (გიგო), გოცაშვილი (ავეტიკა), დანელია (დავით) ხერხეულიძე (ზახ), შარაშიძე (კოსტა) და სხვა.

ხალხის ყურადღებას იპყრობდა თუხარელი, კორკიშვილი, ყიფიანი. საუცხოვო ასრულებისთვის მრავალ ჯერ იყვნენ დაჯილდოვებულნი ტაშისცემით. საუცხოვო იყო თუხარელის და ხაჭაპარიანის მუნჯი სცენა ცეკვის დროს. დამსწრეებმა ყველა მონაწილე ტაშით დააჯილდოვა. დაესწრო აურაცხელი ხალხი, უმთავრესად წითელ არმიელები. ამავე ბრიგადაში არსებულ ვოლგის მხარის მშიერ მცხოვრებთა დასახმარებელ კომისია აპირებს დადგას ქართულ კლუბის სცენაზე რამოდენიმე ფასიანი წარმოდგენა შტაბის სცენის მოყვარეთა მონაწილეობით, რათა დაზიანებულ მშიერ გუბერნიების მცხოვრებლებს გაუწოდონ თავისი ძმური დამხმარე ხელი. იმედია რომ ამ კეთილ განზრახვას საზოგადოება ხელს შეუწყობს და დაესწრება „25“ აგვისტოს გრანდიოზულ სალამოს ქართულ კლუბში.

არჩილი.

თფილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატში

ორშაბათს 15 აგვისტოს სამხედრო კომისარიატის ბინაზე მოხდა საერთო კრება აღნიშნულ დაწესებულების თანამშრომელთა და წითელ არმიელთა, კრება გახსნა ამხ. ქუთათელაძის თავმჯდომარეობით.

დამუშავებული იყო შემდეგი საკითხები: 1. რუსეთში გვალვისა და წყალდიდობის გამო დაშავებულ ამხანაგების დახმარება. 2. მუშათა კომიტეტის მოხსენება.

პირველ საკითხზე მოისმინეს რა ამხანაგების მოხსენება, გამოტანილი იქნა შემდეგი რეზოლიუცია: იქნეს გადებული ორი თვის ჯამაგირი ყველა თანამშრომლებისაგან დაშავებულთა სასარგებლოთ და ერთი დღის ულუფა, ყველა ეს დაუყონებლივ გადაეცეს მაზრის დამხმარე კომიტეტს დანიშნულებისამებრ გადასაცემათ. იქვე იქმნა არჩეული კომისია 3 კაცისაგან რომელიც მიიღებს ზომებს მოკლე დროში მოაწყოს წარმოდგენები და სხვა მათ დასახმარებლად.

მეორე საკითხის შესახებ მოისმინეს მოხსენება კომიტეტისა, გამოუცხადეს საყვედური უმოქმედობისთვის, და იქმნა არჩეული ახალი მუშათა კომიტეტი.

გოგიტო ცომაიელი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

შრომის სახალხო კომისარიატის დებულება მუშა ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებასა და ქვე-განყოფილებებთან სამედიკო-სასანიტარო მუშაკთა აღრიცხვა-განაწილების სექციათა დაარსების შესახებ.

ვინაიდან სამედიკო-სასანიტარო საქმიანობას მრავალი არსებითი თავისებურობა ახასიათებს, სადაც ინდივიდუალურ თვისებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვსთ, შრომის სახალხო კომისარიატი იმ მიზნით, რომ სამედიკო-სასანიტარო ძალა სწორად და სამართლიანად იქნას განაწილებული, სრულიად საქართველოს სამედიკო-სასანიტარო მუშაკთა კავშირთან შეთანხმებით.

1. შრომის სახალხო კომისარიატის მუშა-ხელის აღრიცხვა-განაწილების განყოფილებასთან დაარსებულ იქნას სამედიკო-სასანიტარო მუშაკთა აღრიცხვა-განაწილების ცენტრალური სექცია.

2. მუშა-ხელის აღრიცხვა განაწილების ყველა რაიონულ ქვე-განყოფილებასთან იმავე მიზნით დაარსებულ იქმნას სამედიკო სასანიტარო მუშაკთა აღრიცხვა-განაწილების სექციები.

3. რაიონულ სექციის გამგედ უნდა იქმნეს სამედიკო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის ადგილობრივი განყოფილების წარმომადგენელი, ხოლო ცენტრალურ სექციის გამგედ სრულიად საქართველოს სამედიკო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის ცენტრალურ გამგეობის წარმომადგენელი.

შენიშვნა: რაიონულ და ცენტრალურ სექციათა გამგენი ითვლებიან მუშა-ხელის აღრიცხვა—განაწილების სათანადო ორგანოთა თანამშრომლებად.

4. ცენტრალურ და რაიონულ სექციათა ხარჯები შეტანილ უნდა იქნას აღრიცხვა—განაწილების სათანადო ორგანოთა ხარჯთაღრიცხვაში.

5. მუშა-ხელის აღრიცხვა—განაწილების რაიონული განყოფილებანი და მათი აგენტები აწარმოებენ სამედიკო-სასანიტარო მუშაკთა აღრიცხვას, ხოლო სარეგისტრაციო ბარათების ასლებს ჰგზავნიან ცენტრალურ სექციაში. რაიონულ ქვე-განყოფილებათა და მათი აგენტების მიერ სამედიკო-მუშაკთა მოთხოვნა და აგრეთვე, უკვე აღრიცხულ მუშაკთა განაწილება აუცილებლად უნდა ხდებოდეს ცენტრალურ სექციის ჩვენებით.

6. სამედიკო სასანიტარო მუშაკთა დაუსწრებლივი აღრიცხვა შეიძლება იქ, სადაც აღრიცხვა—განაწილების უახლოეს ქვე-განყოფილებას უგზავნის წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს პასუხს სარეგისტრაციო ბარათში დასმულ კითხვებზე.

ამ წესით აღრიცხულთა აღრიცხვა-განაწილების ქვე განყოფილება უნდა მოექცეს მეხუთე §-ის თანახმად.

7. დაშვებულია პირადი გამოცხადებით და დაუსწრებლივი აღრიცხვა აგრეთვე სამსახურში მყოფ სამედიკო სასანიტარო მუშაკთა, ვისაც სურთ სხვა ადგილას გადასვლა.

8. მთელი რესპუბლიკის ფარგლებში სამსახურში მყოფ სამედიკო სასანიტარო მუშაკთა ხელ-ახალი განაწილება ხდება ცენტრალური სექციის მიერ სახალხო ჯანმრთელობის კომისარიატთან და სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

9. სექციები მოეწყოს დაუყოვნებლივ მიღებისთანავე ამისა და მათი მუშაობის დაწყების შესახებ ეცნობოს ცენტრალურ სექციას.

შრომის სახ. კომისრის მოად.
გიგლე მაჭაძე.

სრულიად საქართველოს სამედიკო-სასანიტარო მუშაკთა კავშირის თავმჯდომარე ექიმი მამულია.
საქმეთა მმართ.: მ. ბერძნიშვილი.

—

ბრძანება № 36.

ტფილისის-ქალაქის რევკომისა
18 აგვისტო 1921 წლ. ქ. ტფილისი.

რევკომის კომუნალური განყოფილება, შეუდგა რა ქალაქის მიწების ფონდის განაწილებას მომავალ წლისათვის დასამუშავებლად, ამყარებს შემდეგ წესებს.

§ 1

სანამ გამოიცემოდეს საერთო დეკრეტი ქალაქში მდებარე უძრავ ქონებათა შესახებ, ქალაქის მიწები გაიცემა იჯარით 12 თვის ვადით. იჯარის ვადა ყანებზე და მინდვრებზე იანგარიშება მოსავლის ადგილებიდან ხოლო ბაღებზე, ბოსტნებზე და ცარიელ ადგილებზე კი 1 ლი ნოემბრიდან.

§ 2

მიწები პირველ რიგში უნდა მიეცეთ მუშებს და მათში განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც შეკავშირებულნი არიან კომუნების, არტელების ამხანაგობების და სხვა ასეთების სახით ნორმალურ დებულების საფუძველზე, რომელიც გატარებულია რეგისტრაციაში მიწით მოქმედების სახალხო კომისარიატის საადგილ-მამულო ქვეგანყოფილებაში.

§ 3

შემდეგ ორი კვირის ვადის განვლისა, რომელიც იქნება ნაანგარიშევი ა. წ. სექტემბრის 1 დან, კომუნალური განყოფილება შეუდგება მიწების განაწილებას მუშების და სხვა მოქალაქეთა იმ ჯგუფთა შორის, რომელნიც აკმაყოფილებენ მე-2 მუხ. აღნიშნულ მოთხოვნილებებს.

§ 4

პირველ ოქტომბრიდან კი ის ადგილები, რომლებიც ამ ხნის განმავლობაში არ იქნებიან დარიგებულნი საბჭოთა მუშებზე, განაწილდებიან სხვა ყველა გარეშე მსურველთა შორის; განაწილების დროს უპირატესობა მიეცემა იმ ძველ მოიჯარადრეთ, რომელთაც რიგიანად უწარმოებიათ აღებულ ადგილების ექსპლოატაცია.

§ 5.

საერთო და აუცილებელ პირობათ ყველა კატეგორიის მოიჯარადრეებს კომუნალური განყოფილება უდებს შემდეგ საფუძვლებს:

ა) ადგილის დამუშავებაში გამოყენება პირადი შრომისა, ბ) წარმოდგენა იმის საკმაო გარანტიებისა, რომ აღებული ნაჭერი მიწისა გამოყენებული იქნება რიგიანად და მიზან შეწონილად იმ დანიშნულებისათვის, რომლისთვისაც ადგილი იქნება გაცემული.

§ 6.

კომუნალური განყოფილება თავის საადგილმამულო ქვეგანყოფილების ინსტრუქტორ-აგრონომების სახით მუდმივ მეთვალყურეობას უწევს მოიჯარადრეთა მიერ აღებულ ადგილების დროზედ და რიგიანად დამუშავების საქმეს და თუ შემჩნეული იქნება დეფექტები და იჯარის პირობების დარღვევა, მოიჯარადრეს ართმევს ადგილს გაწეულ ხარჯების და ნამუშევრის აუნაზღაურებლად და გადასცემს მას სხვა უფრო შესაფერ მოიჯარადრეს.

ქ. თბ. რევკ. თავმჯ. გეგეჭკორი.
კომუნ. განყ. გამგე გოგოტიშვილი.
საადგილ-მამულო ქვეგანყოფილების
გამგე დანდურთვი.

სასურსათო ნატურ გადასახადი მაზრებში

ქ. ზუგდიდი

კვირას 14 აგვისტოს გაიმართა მიტინგი, მიტინგი გახსნა სახალხო განათლების განყ. გამგემ ამხ. ხრისტო როდონაიამ, პირველი სიტყვით გამოვიდა ცენტრალურ კომიტეტის რწმუნებული ამხ პლ. კორძაიამ, რომელმაც მკაფიოდ დაახასიათა საბჭოთა სახელმწიფოს სიძლიერე და მისი ბრწყინვალე პერსპექტივები, აგრეთვე მომხსენებელმა განუმარტა კრებას სანიტარულ და სასურსათო გადასახადის მნიშვნელობა, საბჭოთა პროლეტარულ სახელმწიფოს განმტკიცების საქმეში. იყო შეკითხვები რომლებზედაც მომხსენებელმა გასცა შესაფერი პასუხი. მეორე სიტყვით გამოვიდა ზუგდ. პარტკომის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. გრ. როგავა, რომელიც ეხება დასავლეთ ევროპის მუშათა მდგომარეობას, და მსოფლიო რევოლიუციის მოახლოების ნიშნებს, როგავამ აგრეთვე განუმარტა კრებას სასურსათო გადასახადის მნიშვნელობა ჩვენს რესპუბლიკაში, რის შემდეგ კრება დაიხურა.

შორეული.

—

ქალ. ოზურგეთი.

კვირას 14 აგვისტოს თავისუფლების მოედანზე გაიმართა დიდი სახალხო მიტინგი, გურიის სამაზრო პარტკომიტეტის სახელით მიტინგი გახსნა ამხ. ტარასი მგალობლიშვილმა. გურიის კომიტეტთან არსებულმა პროლეტარულმა მომღერალმა გუნდმა ვარლამ სიმონიშვილის მეთაურობით შეასრულა პროლეტარული ჰიმნი ინტერნაციონალი. მოხსენება გააკეთა ამხ. ნოე ზომლეთელმა. მან ლამაზი სიტყვებით ვრცლად ახსნა ხალხს მომენტი და მისი მნიშვნელობა. ორატორს შეჩერების დროს ხალხი ტაშის ცემით აჯილდოვებდა. ამის შემდეგ ილაპარაკა ამხ. ვალოდია [illegible]თქილაძემ. მან ფართოდ ახსნა [illegible] სასურსათო გადასახადის შინაარსი და მიზანი. შეეხო იმ მწვავე ეკონომიურ მდგომარეობას, რომელიც [illegible] არის გამეფებული. შემდეგ ილაპარაკა ამხ. გრიშა გოგობერიძემ. ორატორმა მოუწოდა ხალხს, რომ ყველამ ერთად, მთელმა გურიის მშრომელმა ხალხმა მხარი უნდა დაუჭიროს საქ. სოც. საბჭ. მთავრობას და მის მიერ გამომუშავებული დეკრეტები თვით მშრომელი ხალხის მიერ უნდა იქმნას ცხოვრებაში გატარებული.

ტარჯული.

ჩვენი ფოსტა

ამხ. ე. შალამბერიძეს—არ დაიბეჭდება, რადგან ჩვენი ბიუროკრატიზმის საილიუსტრაციოთ თქვენ მიერ მოყვანილი შემთხვევა არ გამოდგება. ამხ. გ. ქ[illegible]შვილი ყოველ შემთხვევაში მენშევიკი არაა და არც საბოტაჟნიკი.

— საქართვ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი მოთავსებულია რუსთაველის პრ., № 22.

— საქ. კომპარტიის თბილისის კომიტეტი—რუსთაველის პრ., 22 ტელ. 5—74.

— 1-ლ რაიონის ბიურო—ჩერქეზიშვილის ქ. 136. თეატრი „ნაძალადევი“ ტელ. 1—33.

— მე-2 რე რაიონის ბიურო—მიხეილის ქ. № 87. ტელ. 5—69,

— მე 3-მე რაიონის ბიურო—ავლაბარი. კახეთის მოედანი. 5—58.

— მე-4-ე რაიონის ბიურო—ვერის ქ. 29 „მუშათა კლუბის“ შენობაში. 9—52.

— მე 5-თე რაიონის ბიურო—[illegible] ქუჩა.

— საქ. ახალგ. კომუნისტურ კავშირის ცკ—რუსთაველის პრ. 24.

სარედაქციო კოლეგია.

განცხადებანი

განცხადებანი მიიღებიან მხოლოდ ნაშუადღევის 2 საათამდის.

საქართველოს კომპარტიის 1 რაიკომის ბიურო ამით აუწყებს ყველა ამხანაგებს და ნაცნობებს, რომ 21 აგვისტოს გარდაიცვალა დილის 4 საათზე წევრი 1 რაიონისა, რკინის გზის მემანქანე თანაშემწე

ამხ. **სერგო ალმასხანის ძე მანჯავიძე**

გამოსვენება მოხდება ოთხშაბათს 24 აგვისტოს სრულ სამ საათზე თავის ბინიდან, პარკოვაიას ქუჩაზე 31.

სხვა და სხვა

— გუშინ, 21 აგვისტოს 1921 წ. გრიბოედოვის ქუჩაზე ეტლით გავლის დროს დაეკარგა პორტფელი რევ. სამხედრო ტრიბუნალის ბეჭედი, სამხედრო რევ. საბჭოს ცალკე კავკასიის არმიისა, ქალის ბრაუნინგი, პირადობის მოწმობა და პარტიული მთლიანი ბილეთი რევ. ტრიბუნალის თავმჯდომარის მოადგილეს ცალკე კავკასიის არმიისა ალექსი ვრონსკის სახელზე. მპოვნელს ვთხოვ პირადად წარადგინოს სამხედრო რევ. ტრიბუნალში (ხასმამედოვის ქ., 32) 22 აგვისტოდან ბეჭედი გაუქმებულად ჩაითვალოს და მის ნაცვლად ნამდვილ ბეჭედათ ჩაითვალოს ბეჭედი რევ. სამხედრო ტრიბუნალის სამგზავრო სესიისა სამხედ. რევ. საბჭოსა ცალკე კავკასიის არმიასთან.

ხუთშაბათს, 15 აგვისტოს დილის 10 საათზე, დანიშნულია საქართველოს საექიმო-სასანიტარო კავშირის ყრილობა.

ყრილობა გაიხსნება კინო მინიონში.

თბილისის მაზრის ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნების საყურადღებოთ

ამა წ. 30 აგვისტოს მოწვეული არის თბილისის მაზრის ყველა რაიკომების პასუხისმგებელ მდივნების კრება ქალ. თბილისში რუსთაველის ქ. № 14. დასწრება ყველა პასუხისმგებელი მდივნების სავალდებულოა. დღიურ წესრიგში განსახილველია შემდეგი კითხვები: 1. თანამედროვე მომენტი და ტაქტიკა. 2. მოხსენება ადგილებიდან, 3. მოხსენება სამაზრო კომიტეტისა, 4. ურთიერთობა პარტიულ და რევოლიუციონურ ორგანოთა შორის, 5. დამოკიდებულება ახალგაზრდათა კომკავშირთან, 6. პარტიის გაწმენდა, 7. საორგანიზაციო საკითხები და სხვა მიმდინარე კითხვები.

თ. მ. კ. მდივანი ლადო სუხიშვილი.
თ. მ. კ. საქმეთა მმართველი: ვ. [illegible]